ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 237

10 აგვისტო
"___" _____ 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ სერვის გრუპისთვის" (ს/ნ: 404521059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ სერვის გრუპისთვის" (ს/კ 404521059) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 ივლისის №18.543.831 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ სერვის გრუპისთვის" (ს/ნ: 404521059) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**